დამტკიცებულია:
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
MES 4 24 0000290755 (11/03/2024)
ოქმი N9

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევა ხდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების მიერ.
3. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, ფაკულტეტების შუამდგომლობის საფუძველზე.
4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით უნივერსიტეტის წესდებით და ამ წესით დადგენილი წესის შესაბამისად, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
5. კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების, დასრულების, კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.
6. ამ წესით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება სამუშაო დღეები.
7. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევად (კონკურსის ჩასატარებლად), თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას (თავმჯდომარე; წევრები) ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
8. საკონკურსო კომისია შედგება 3-7 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მოწვეული წევრი.
9. საკონკურსო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე. საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს).
10. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არა ნაკლებ 1/3-ს.

11. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც, მგრამ არანაკლებ 3 წევრისა.
12. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.
13. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა (გარდა - კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის საკითხისა).
14. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ გადაეცემა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.
15. საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობებია:
ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;
ბ) კონკურსის შედეგად შეარჩიოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;
გ) მიიღოს და განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;
დ) სათანადო საფუძველების არსებობის შემთხვევაში ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება;
ე) მიიღოს გადაწყვეტილება მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.
16. საკონკურსო კომისია უფლებამოსილებას ინარჩუნებს აკადემიური კონკურსის შედეგების ძალაში შესვლამდე.
17. საკონკურსო კომისია ვალდებულია კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს ამ წესის შესაბამისად.
18. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს და ხელს აწერს შესაბამის ოქმებს.
19. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის სხდომებს შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა კომისიის სხდომაზე.
20. კონკურსანტთა რეგისტრაციის მიზნით უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალისაგან იქმნება საბუთების მიმღები სამდივნო, რომელიც კომპლექტდება 2-4 წევრით.
21. საბუთების მიმღები სამდივნოს უფლება-მოვალეობებია:
ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება და რეგისტრაციაში გატარება;
ბ) განცხადების მიღების შემთხვევაში განმცხადებელზე განცხადების მიღების შესახებ ცნობის გაცემა, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, საშტატო ერთეული,

წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე, საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ განმცხადებელს უბრუნდება წარმოდგენილი დედანი დოკუმენტები.

გ) განცხადების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხასთან.

დ) წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში კონკურსანტის რეგისტრაცია;

ე) წარმოდგენილ დოკუმენტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში 1 დღის ვადაში წერილობითი შეტყობინების გაგზავნა განმცხადებლისათვის, რომელიც უფლებამოსილია აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

ვ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში განმცხადებლისათვის განცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმა ან რეგისტრაციის გაუქმება.

22. თითოეულ საკონკურსო ადგილზე რეგისტრირებულ კონკურსანტთა რაოდენობა ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

23. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსანტი.

24. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადოდ მოწყობას.

25. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიის სამდივნოში ან კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი საკონკურსო განცხადება.

საკონკურსო განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ფორმით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე და მასში აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი), შესაბამისი ფაკულტეტისა და საკონკურსო თანამდებობის დასახელება საშტატო ერთეულის მითითებით. აგრეთვე დასტური იმისა, რომ განმცხადებელი გაეცნო და ეთანხმება აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობებს, დასასრულს კეთდება განმცხადებლის ხელმოწერა და მიეთითება თარიღი.

ბ) საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს კონკურსანტის ანკეტა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ინფორმაცია (მათ შორის იმ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო კურსის ან/და სხვა მეცადინეობების გაძღოლა), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა

საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან).

გ) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

დ) დისერტაციის (საკანდიდატო/სადოქტორო) სადისერტაცო მაცნე/ავტორეფერატი;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;

ვ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების და სამეცნიერო პრეზენტაციების (კონფერენციებზე, სიმპოზიუმზე, სემინარზე და ა. შ.) ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით) და აღნიშნულის დამადასტურებელი ლინკი ან ყდა;

ზ) იმ დისციპლინების ჩამონათვალი, რომელსაც კონკურსანტი ბოლო 5 წლის განმავლობაში კითხულობდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით);

თ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევის კონცეფცია, ხოლო ასისტენტ - პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სამოტივაციო წერილი;

ი) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სილაბუსი ანკეტაში მითითებული საგანებიდან;

კ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

ლ) ორი ფოტოსურათი;

მ) ყველა მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს ლინკი ან ყდა, რომელიც მითითებულია კონკურსანტის შრომების ჩამონათვალში (ბოლო 6 წლის განმავლობაში).

ნ) ერთი ნაშრომის ელექტრონული ვერსია რომელსაც ჩათვლის საუკეთესოდ (გამოუქვეყნებელი ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში, იგი გადამოწმებული იქნება პლაგიატზე უნივერსიტეტის პლაგიატის კომისიის მიერ).

ო) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებამდე, ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ.

26. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ისეთი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს შემოსულ განცხადებაზე წყდება საქმის წარმოება, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი და წერილობით ეცნობება კონკურსანტს.

27. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები (გარდა კონკურსის შედეგებისა) ამავე საკონკურსო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

28. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ.ნომერი);

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი.

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ზ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

29. განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში კომისია განიხილავს განცხადებას/საჩივარს და გადაწყვეტილებას იღებს მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

30. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.

31. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

32. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდში, მას შემდეგ, რაც განხორციელდება თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემების ანალიზი.

33. საკონკურსო კომისიების მიერ უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა შერჩევა ხდება მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან), კონკურსანტთა სხვა აქტივობების, მიღწევების და დამსახურების გათვალისწინებით, რაც დგინდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და კონკურსანტთან გასაუბრების გზით.

34. საკონკურსო კომისია კონკურსანტს აფასებს „კონკურსანტის შეფასების ფორმის“ საშუალებით (დანართი 1).
35. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია იხილავს რა კონკრეტული საკონკურსო თანამდებობის არსებულ საშტატო ერთეულებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს და აფასებს კონკურსანტთან გასაუბრების შედეგებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში.
36. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
37. მას შემდეგ, რაც კონკურსი ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის მიერ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც მიეთითება (იყო შეიტანება) შემდეგი მონაცემები:
ა) შემაჯამებელი ოქმის შედგენის თარიღი. წინ გადმოვიტანე
ბ) საკონკურსო კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი;
გ) კენჭისყრაზე გამოცხადებული საკონკურსო კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი;
დ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ე) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის(კონკურსანტების) სახელი და გვარი;
38. თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არცერთი კონკურსანტი, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე ინიშნება ხელახალი კონკურსი ამ წესით განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვით.
39. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს კონკურსის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული დღისა ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე).
40. აკადემიური პერსონალის უფლებამოსილება ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.
41. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატთან (კანდიდატებთან) კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე ფორმდება აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფა ევალება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.
42. აკადემიური კონკურსის ფორმებს, პირობებს, აგრეთვე საკონკურსო-საფაკულტეტო კომისიისა და საბუთების მიმღები სამდივნოს შემადგენლობას და აკადემიური კონკურსის შედეგებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

43 . აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობებია:

43.1. პროფესორის თანამდებობაზე:

ა) 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდების 27^1 მუხლით განსაზღვრულ დამატებით პირობებს;

ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდების 27^1 მუხლით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.

43.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

43.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

43.4. ასისტენტის თანამდებობაზე ამ პუნქტით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

43.5. ამ პუნქტის 43.1 - 43-4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე პროფესიული ნიშნით შეიძლება არჩეულ იქნეს კვალიფიციური პერსონალი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებას, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

შეტანილია ცვლილება:
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #MES 9 24 0001587296 (10/12/2024)